




1) იამ რვიანისა და სამიანის გამოყენებით შეადგინა ლუწი ორნიშნა რიცხვი.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) როგორი რიცხვი შეადგინა იამ?

- 1) ლუწი სამნიშნა 2) ლუწი ორნიშნა 3) კენტი ორნიშნა

 ბ) რა რიცხვები გამოიყენა იამ?

- 1) 3 და 6 2) 8 და 3 3) 6 და 8


 გ) რა რიცხვი შეადგინა იამ?

- 1) 838 2) 88 3) 38


2) სანდრომ ტყეში 14 სოკო იპოვა, ვანომ – 12, ნატომ კი იმ რაოდენობის ნახევარი, რაც სანდრომ და ვანომ ერთად. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

 ა) რამდენი სოკო იპოვა სანდრომ?

- 1) 14 სოკო 2) 12 სოკო 3) 26 სოკო

 ბ) რამდენი სოკო იპოვა ვანომ?

- 1) 14 სოკო 2) 12 სოკო 3) 26 სოკო


 გ) რამდენი სოკო უპოვია ნატოს?

- 1) 6 სოკო 2) 13 სოკო 3) 26 სოკო


3) ყუთში ეწყო 7 ათეული ვაშლი. ბაბუამ ამოიღო 4 ცალი ვაშლი.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) რამდენი ათეული ვაშლი ეწყო ყუთში?

- 1) 4 ათეული 2) 7 ათეული 3) 70 ათეული

 ბ) რამდენი ცალი ვაშლი ეწყო ყუთში?

- 1) 7 ცალი 2) 40 ცალი 3) 70 ცალი

 გ) რამდენი ცალი ვაშლი დარჩა ყუთში?

- 1) 3 ცალი 2) 66 ცალი 3) 74 ცალი



4) რა უნდა ეხატოს კითხვის ნიშნის ნაცვლად?



5) დააკვირდი ქვემოთ მოცემულ მაგალითებს. რა ციფრი უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად, ჭეშმარიტი (სწორი) ტოლობა, რომ მივიღოთ?

$2 + 2 + 2 = 6$	$3 + 3 + 3 = 9$	$4 + 4 + ? = 13$	$5 + 5 + 5 = 15$
-----------------	-----------------	------------------	------------------

1) 4

2) 5

3) 6



6) თომას აქვს 40 თეთრი, ლაშას – 25 თეთრი, კატოს – 75 თეთრი. რომელს აკლია ერთ ლარამდე ყველაზე მეტი თანხა?

1) თომას

2) ლაშას

3) კატოს



7) თორნიკე, ნათია და მარიამი ერთ სახლში ცხოვრობენ. თორნიკე მეცხრე სართულზე ცხოვრობს. ნათია თორნიკეზე სამი სართულით ზემოთ ცხოვრობს. მარიამი ნათიაზე ერთი სართულით ზემოთ, ბოლო სართულზე ცხოვრობს. რამდენსართულიანია ეს სახლი?

1) თოთხმეტსართულიანი

2) ცამეტსართულიანი

3) თორმეტსართულიანი

მათემატიკური ოლიმპიადა „ევერესტი“ 12 წლისაა!
 მადლობას გიხდით, რომ ირჩევთ ჩვენს
 ოლიმპიადას!

